ადრესატი:

დავით დარჩია
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**03-37230383**
თარიღი: **07/02/2023**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის მიერ 2022 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე გაწეული საქმიანობის ანგარიში

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3დეკემბრის N53 განკარგულების თანახმად განისაზღვრა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის პერსონალური შემადგენლობა, რომლიდანაც კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს საკრებულოს წევრი გელა ჩავლეშვილი; საანგარიშო პერიოდში კომისია მუშაობდა საკრებულოს 2017 წლის 14 დეკემბრის N18 დადგენილებით მიღებული კომისიის დებულებისა და 2021 წლის 16 დეკემბერს საკრებულოს ბიუროს მიერ დამტკიცებული სამუშაო გეგმის შესაბამისად.

კომისიამ ჩაატარა 24 სხდომა(აქედან ერთი ერთობლივი სხდომა). სხდომებზე სულ განხილულ იქნა 37 საკითხი.

საანგარიშო პერიოდში სხდომებზე განხილულ სხვადასხვა საკითხებთან ერთად კომისიამ წარმოადგინა 17 დასკვნა, რომლებიც წარდგენილ იქნა ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე, ამავდროულად გადაიგზავნა მუნიციპალიტეტის მერიაში რეკომენდაციების სახით. მათ შორის მნიშვნელოვანია:

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ;

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ 2021 წელში განხორციელებული შესყიდვების შესახებ;

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის 1-2-3 კვარტლების შესრულების ანგარიშის მიმოხილვის შესახებ(კვარტალური ბიუჯეტის ფაქტიური შემოსულობებისა და გადასახდელების, აგრეთვე საპროგნოზო მაჩვენებლების ზრდადი დინამიკა რამდენჯერმე აისახა კომისიის დასკვნებში);

- 2022 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების შესახებ;

-„ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამის განხორციელების შესახებ“ საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე;

- მუნიციპალიტეტის მერიის ახალი სტრუქტურისა და შესაბამისი სამართლებრივი აქტების პროექტების თაობაზე;

- „2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის თაობაზე;

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტში გასათვალისწინებელი წინადადებების განხილვის შესახებ.

აღვნიშნავთ კომისიის მიერ რეკომენდირებულ რამდენიმე წინადადებას, რომელიც მერიის მიერ გათვალისწინებული იქნა 2023 წლის ბიუჯეტში:

-პროგრამის „სპორტის სხვადასხვა სახეობების ხელშეწყობა“ ფარგლებში გაიზარდა ოზურგეთის საჭადრაკო კლუბი „გურია“-ს დაფინანსება;

-ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნა იური ჩხაიძის სახელობის ბავშვთა საფეხბურთო ტურნირის ჩატარებისათვის საჭირო თანხა;

-2023 წლის ბიუჯეტის პროექტსა და 2023-2026 წლის პრიორიტეტების დოკუმენტში ასახული გენდერული ასპექტები წარმოდგენილია განმარტებითი ბარათის სახით.

საანგარიშო პერიოდში კომისია განიხილავდა შემოსულ წერილებსა და კორესპონდენციებს. აღნიშნული განხილვების შედეგებზე დაყრდნობით მომზადდა 15-ზე მეტი რეკომენდაცია და წინადადება, რომლებიც შემდგომი რეაგირების მიზნით გადაეგზავნა მუნიციპალიტეტის მერიას და სხვა შესაბამის სახელმწიფო თუ კერძო სტრუქტურებს.

ყოველი თვის დასრულებიდან 10 დღის ვადაში და ყოველ კვარტალურად,კომისია ისმენდა და აფასებდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფიანასო-საბიუჯეტო და შიდა აუდიტის სამსახურების ანგარიშებს. ასევე ბიუჯეტის შესრულებისა და სარეზერვო ფონდის ხარჯვის შედეგებს.

აქტიურად ვთანამშრომლობდით არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

მიმდინარე წელს ვგეგმავთ უფრო სრულყოფილი გავხადოთ კომისიებზე განსახილველად წარმოდგენილი პროექტები და მიღებული გადაწყვეტილებების, ანგარიშვალდებული სამსახურების მიერ შესრულების მექანიზმები.

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე